საქართველოს მთავრობის

დადგენილება №150

2025 წლის 14 მაისი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – წყლის გამათბობლის, ცხელი წყლის შემნახველი ავზის და წყლის გამათბობლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №363 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „ტექნიკური რეგლამენტის – წყლის გამათბობლის, ცხელი წყლის შემნახველი ავზის და წყლის გამათბობლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №363 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/10/2024, 300160070.10.003.024758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „ტექნიკურ რეგლამენტში – წყლის გამათბობლის, ცხელი წყლის შემნახველი ავზის და წყლის გამათბობლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესში“ დანართი II ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**